UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

კენჭისყრის დღის პროცედურები

იოლად საკითხავი

2025 წელი

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შეხედულებებს.

რას ეხება ეს სახელმძღვანელო ?

	ეს სახელმძღვანელო გასწავლის რა არის კენჭისყრა.
	გაიგებ, რომელი წესების ცოდნაა აუცილებელი ხმის მიცემისთვის.
	გაიგებ, რა უნდა გქონდეს თან ხმის მიცემისას.
	გაიგებ, რა უფლებები გაქვს ხმის მიცემის პროცესში.
	ისწავლი არჩევნების პროცესთან დაკავშირებულ ახალ სიტყვებს და ტერმინებს.

სიტყვათა განმარტება

	**კენჭისყრა** - პროცესი, როდესაც ადამიანები ირჩევენ კანდიდატს ან პასუხობენ მნიშვნელოვან კითხვას ხმის მიცემით.
	**კენჭისყრა** მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად.
	მარკირება - მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე გიკეთებენ ნიშანს, რაც ნიშნავს, რომ არჩევნებში ხმა მიცემული გაქვს.
	საარჩევნო ბიულეტინი - სპეციალური ქაღალდი, სადაც ნახავთ არჩევნებში მონაწილეთა სიას და თქვენთვის სასურველ კანდიდატს მისცემთ ხმას.
	ამომრჩეველთა ნაკადი - ხმის მისაცემად მისული ადამიანების რიგი.

	რეფერენდუმი - საერთო სახალხო გამოკითხვა და კენჭისყრა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.
	რეგისტრაციის მისამართი - მისამართი, სადაც ადამიანი ოფიციალურად არის აღრიცხული. ეს მისამართი წერია ადამიანის პრადობის მოწმობაში და პასპორტში.
	რეგისტრატორი - ადამიანი, რომელიც ამოწმებს ამომრჩევლის პირადობას და მის ამომრჩეველთა სიაში ყოფნას. რეგისტრატორი აძლევს ამომრჩეველს ბიულეტენს ხმის მისაცემად.
	ვადა - დროის კონკრეტული პერიოდი, რომლის განმავლობაში უნდა შესრულდეს საქმე. ვადის გასვლის შემდეგ ეს მოქმედება შესაძლოა ვეღარ განხორციელდეს.
	საარჩევნო სია - იმ ადამიანების ჩამონათვალი, ვისაც არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს. ამ სიაში შესული ამომრჩევლები არჩევნების დღეს მიდიან და აძლევენ ხმას.

რა უნდა ვიცოდე იმისთვის რომ ხმა მივცე ?

	ხმას საარჩევნო უბანში აძლევ. ეს არის ადგილი, სადაც მიდიხარ ხმის მისაცემად.
	საარჩევნო უბანი დილით ძალიან ადრე იხსნება.
	საარჩევნო უბანი 8 საათზე უკვე ღიაა ამომრჩევლის მისაღებად.
	სწორი საარჩევნო უბნის მოსაძებნად უნდა იცოდე შენი რეგისტრაციის მისამართი.
	ხმის მიცემის პროცესს ბევრი წესი აქვს და მათი დაცვა აუცილებელია.

რა პროცესი უნდა გავიარო ხმის მიცემისას ?

	ხმის მისაცემად რომ მიხვალ შეგამოწმებენ მარკირება გაქვს თუ არა.
	ხმას მხოლოდ ერთხელ აძლევ, ამიტომ ხმის მიცემამდე მარკირება არ უნდა გქონდეს.
	მარკირება თუ არ გაქვს, გაგიკეთებენ მარკირებას და კენჭისყრის ოთახში შეგიშვებენ.
	კენჭისყრის ოთახში იქნება რეგისტრატორი, რომელსაც უნდა მიაწოდო შენი პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
	არჩევნებზე წასვლამდე შეამოწმე, შენს პირადობას ან პასპორტს ვადა ხომ არ აქვს გასული.

	რეგისტრატორი შენს პირადობაში ან პასპორტში არსებულ ინფორმაციას ამოწმებს თავის საარჩევნო სიასთან.
	რეგისტრატორი შემოგხედავს სახეზე და დარწმუნდება, ხომ ნამდვილად შენი პირადობა ან პასპორტი გაქვს თან.
	რეგისტრატორი შენი პირადობის ან პასპორტის ფოტოსურათს შეადარებს ამომრჩეველთა სიაში მითითებულ ფოტოს.
	რეგისტრატორი თითზე მარკირების სითხეს წაგისვამს და მოგცემს ბიულეტენს.
	რეგისტრატორი შენი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელს მოგაწერინებს.
	საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას, თვითონ რეგისტრატორიც მოაწერს ხელს ბიულეტენს და ბეჭედს დაასვამს.

	ბიულეტენით ხელში შედიხარ კაბინაში.
	რადგან კენჭისყრა ფარულია, უნდა შეხვიდე კაბინაში. სხვები ვერ უნდა ხედავდნენ ვის აძლევ ხმას.
	კაბინაში მონიშნავ შენთვის სასურველ კანდიდატს.
	კანდიდატს მონიშვნის შემდეგ ბიულეტენს კეცავ ისე, რომ არ ჩანდეს რა მონიშნე.
	თუ ბიულეტენის შევსებისას დახმარება დაგჭირდება, შეგიძლია მოითხოვო, რომ დაგეხმარონ.
	დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით მიდიხარ ცალკე მდგარ მაგიდასთან.

	მაგიდიდან დამოუკიდებლად იღებ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებ ბიულეტენს.
	კონვერტს საარჩევნო ყუთში აგდებ.
	ხმა მიცემული გაქვს და შეგიძლია წახვიდე.
	კენჭისყრა იმართება კენჭისყრის შენობაში არჩევნების დღეს, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.